სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030667287764218

**06 / მარტი / 2018 წ.** **თბილისი #06-40/ო**

## HCV core Ag კვლევისათვის საჭირო ნიმუშის აღების, მომზადების და ტრანსპორტირების ინსტრუქციის/წესის დამტკიცების შესახებ

„C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილების ფარგლებში საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევით ცენტრს დაევალა HCV core Ag კვლევის ჩატარება სკრინინგით დადებითი პაციენტებისათვის აქტიური ინფექციის დასადგენად. HCV core Ag კვლევისათვის საჭირო ნიმუშის აღებისა და მომზადების მიზნით, „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

**1.** დამტკიცდეს HCV core Ag კვლევისათვის საჭირო ნიმუშის:
**ა)** აღებისა და მომზადების ინსტრუქცია/წესი თანდართული დანართი #1-ის შესაბამისად;
**ბ)** ტრანსპორტირების წესი თანდართული დანართი #2-ის შესაბამისად.
**2.** დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (კ. ოჩიგავა), უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ–გვერდზე – www.ncdc.ge.
**3.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს „HCV core Ag კვლევისათვის საჭირო ნიმუშის აღებისა და მომზადების ინსტრუქციის/წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2017 წლის 15 დეკემბრის #06-246/ო ბრძანება.
**4.** ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
**5.** ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე